საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011885620745326

საქართველო, თბილისი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1 ; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

11 / სექტემბერი / 2026 წ. **N 01/227835**

რომან ალიევს

მის.: თბილისი, მუხიანის დასახლება,
IVბ მიკრო/რაიონი,
კორპუსი №42, ბინა №10

ბატონო რომან,

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) თქვენ მიერ 2026 წლის 9 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა №173289 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც ითხოვთ თქვენ სახელზე 2018 წლის 19 სექტემბერს გაცემულ პასპორტსა და თქვენს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში გვარის - „ალიევი“ შესწორებას გვარით - „ალიევ“. ამასთან, მიუთითებთ, რომ ასაჩივრებთ „რომან ალიევის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მონაცემის შესწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ“ სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) 2026 წლის 31 მარტის №001126043329 გადაწყვეტილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის ,,დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან.

თქვენ სახელზე 2018 წლის 19 სექტემბერს გაცემულ პასპორტში გვარის გასწორების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის № 98 ბრძანების 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის პერსონალიზაცია ხორციელდება რეგისტრაციის ან/და პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემისას სააგენტოს მონაცემთა ბაზაში შეტანილი მოქმედი მონაცემების საფუძველზე, ხოლო 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელის ან/და გვარის გამოცვლისას, პასპორტი ექვემდებარება შეცვლას. შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემის შესწორება მოქმედი

კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამასთან, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ასახული მონაცემი არის საიდენტიფიკაციო მონაცემი და ის დამოუკიდებლად არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ადმინისტრაციული ორგანოს ისეთ ქმედებას, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით გასაჩივრებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას“. იმავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს/სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს (შემდგომ – ელექტრონული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), გარდა სამოქალაქო აქტის ჩანაწერისა, ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ელექტრონული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებად ჩაითვლება აგრეთვე მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება. აღნიშნულ შემთხვევაში ელექტრონულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ვადის ათვლა მისი გამოქვეყნებისთანავე იწყება.

სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ინფორმაციით, თქვენს 2026 წლის 17 მარტის №001126043329 განცხადებაზე სამსახურმა გადაწყვეტილება მიიღო 2026 წლის 31 მარტს. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, ძალაში შევიდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღეს - 2026 წლის 31 მარტს, ხოლო ადმინისტრაციული საჩივარი თქვენ მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ - 2026 წლის 9 სექტემბერს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით. ამავე კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს მოთხოვნა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების/გაუქმების სამ შესაძლებლობას - ბათილად ცნობას, ძალადაკარგულად გამოცხადებასა და არარად აღიარებას. თქვენ მიერ 2026 წლის 9 სექტემბერს წარმოდგენილ № 173289 ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული მოთხოვნა არის ბუნდოვანი, კერძოდ, არ იკვეთება, გასაჩივრების/გაუქმების რომელი შესაძლებლობის გამოყენება გსურთ. შესაბამისად, სააგენტოს მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თქვენს ადმინისტრაციულ საჩივარზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია, რომ იგი შეიცავდეს ნათლად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. ხოლო ამავე კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი“. ამავე კოდექსის VI თავის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა

ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ამასთან, მითითებული მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი ნაწილის, 83-ე მუხლის, 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 181-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 185-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, დააზუსტოთ მოთხოვნა, წარმოადგინოთ დოკუმენტის ასლი და საპატიო მიზეზის/დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე გვაცნობოთ წერილობით, ასევე წარმოადგინოთ მისი დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, რისთვისაც გენიშნებათ ვადა - წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი 2026 წლის 9 სექტემბრის №173289 ადმინისტრაციული საჩივარი სააგენტოს მიერ არ განიხილება.

პატივისცემით,

დავებისა და საჩივრების სამმართველოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ქრისტინე ბოლქვაძე